

სახელგის საჩუქრად სიის შედგენილის შესახებ

ამჟამად ქართულში სხვადასხვა წარმოშობის მრავალი სახელია გავრცელებული. სახელთა ძირითად მასას შეადგენს ე. წ. კალენდრის სახელები (პეტრე, ივანე, გიორგი, თამარი, მარიამი და მისთ.), მაგრამ ამით გვერდით გვხვდება ისეთი სახელებიც, როგორცაა: ძველთაგანვე (შუა საუკუნეებიდან) შემოსული სპარსული სახელები, რომელთა დიდი ნაწილი საკმაოდ სახეცვლილია (როსტომი, ზურაბი, ქეთევანი...); ერთი ჯგუფი რუსული სახელებისა, რომლებიც XIX საუკუნიდან გავრცელდა ჩვენში (ვლადიმერი, ოლღა, ნადეჟდა); თურქული წარმოშობის სახელები (ჯემალი, მუსტაფა...); ევროპული წარმოშობის სახელები (მენრისი, რობერტი, რიჩარდი...), მათ შორის ლიტერატურული წარმოშობისანიც (მამლეტი, კორდელია, იზოლდა, ტრისტანი...); საკუთრივ ქართული წარმოშობის სახელები (მაყვალა, ნათელა, მზია...), მათ შორის ქართული გამონათქვამების შემცველი (დედისიმედი, გულნაზი, ქალთამზე...); საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ადგილობრივი სახელები (ყაყიტა, ბეწინა, დათვია, ჭიჭიკო, ბონდო, ბუხუტი, თოლისქვამი...); ახალი შერქმეული სახელები, რომლებიც წარმოადგენენ: ან უცხო გვარების განმეორებას (ბისმარკი, ფორესი...), ან გამოჩინილ პირთა სახელების დასაწყისი ასოების ან მარცვლების შეერთებითა მიღებული (მელსი, მარლენი...) ან სხვადასხვა გამოთქმავი შემავალ სიტყვათა დასაწყისი ასოების ან მარცვლების შეერთებითა მიღებული (დაზმირი, მელორი...), ან დედისა და მამის სახელების დასაწყისი მარცვლების შეერთებითა მიღებული (გრივერი, ლეომერი...), ან კიდევ სხვადასხვა საგნის თუ ცნების აღმნიშვნელი სიტყვაა გამოყენებული სახელად (ტროლიბუხი, ხეკრეტო...) და სხვ. ამასთან ერთად, ძალიან გავრცელებულია საშინაო სახმარი, მოფერებითი სახელების გამოყენება ოფიციალურ სახელებად. ოფიციალურ დოკუმენტებში ვხვდებით ისეთ სახელებს როგორცაა: ჭიჭიკო, სერიოჟა, ლადო, გრიშა და მისთ.

ასეთი მდგომარეობა არე-დარევას ქმნის სახელთა დარქმევისას. აუცილებელი გახდა ამ საქმის მოწესრიგება და ჩვენში სახმარ სახელთა სარეკომენდაციო სიის შედგენა. სია შედგენილია გარკვეულ პრინციპებზე დაყრდნობით, რომელთა შესახებ ქვემოთაა საუბარი.

იმ სახელთაგან, რომლებიც ამჟამად გვხვდება ჩვენში და რომლებიც, როგორც აღინიშნა, სხვადასხვაგვარი წარმოშობისანი არიან, სახელთა სარეკომენდაციო სიაში

ა) შერჩევით შეტანილია ე. წ. კალენდრის სახელები (პეტრე, ივანე, გიორგი, ნიკოლოზი, სოლომონი, დავითი, იაკობი, თამარი, მარიამი, მართა და მისთ.), მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც უკანასკნელ ხანებში ბავშვებს თითქმის აღარ აქმევენ, მაგრამ რომლებიც საკმაოდ ხშირად გვხვდება უფროს თაობაში (ტიმოთე, თეოფილე, კალისტრატე, კირილე...);

ბ) შერჩევითვეა შეტანილი ძველთაგან დამკვიდრებული სახელები აღმოსავლური წარმოშობისა, რომლებიც ფონეტიკურად სახეცვლილია (ვადმოქართულე-ბულია), განსაკუთრებით ისეთები, რომელთაც ან ლიტერატურული, ან სხვა ტრადიცია უჭერს მხარს: გავრცელებული ლიტერატურული ნაწარმოებების პერსონაჟთა სახელებია, ერქვა რომელიმე ისტორიულ პიროვნებას და სხვ (როსტომი, ზურაბი, ლუარსაბი, ქეთევანი, როდამი და მისთ.);

გ) შერჩევითაა შეტანილი XIX საუკუნიდან ჩვენში ფეხმოკიდებული და შემდგომ გავრცელებული სახელები: ვლადიმერი, ვერა, ნადეჟდა, ტატიანა...;

დ) შეტანილია ერთი ნაწილი ქართული ძველი წარმოშობის შერქმეული სახელებისა, რომლებიც ძალიან გავრცელებულია დღეს და ოფიციალურ სახელებადაა ქცეული: მაყვალა, მზია, ფქვია, ცისანა, ცისია, ციალა, მწვეინარი, პირიმზე, მწეჟალა, ლელა, ქალთამზე, იამზე, გულნაზი და მისთ;

ე) შეტანილია ერთი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული სახელებისა: აღლუდა, გოგოთური, ვეფხია და მისთ;

ვ) მამაკაცისა და ქალის იმ სახელთაგან, რომლებიც რუსულში ერთი და იგივეა და მხოლოდ დაბოლოებით განსხვავდება ერთმანეთისაგან, სარეკომენდაციო სიით ქართულში ერთ-ერთი მათგანია დატოვებული: ან ქალისა, ან მამაკაცისა. მაგალითად, შეტანილია მამაკაცის სახელები — ევგენი, ალექსანდრე, იუსტინე; არაა შეტანილი ქალის სახელები — ევგენია, ალექსანდრა, იუსტინა. შეტანილია ქალის სახელი კლავდია; არაა შეტანილი მამაკაცის სახელი კლავდი;

ზ) შეტანილია თითო-ორთა სახელი, რომლებიც მწერლობაშია გამოყენებული ნაწარმოებების პერსონაჟთათვის: ციაგა, შუჟია.

თ) ოფიციალური სახელი უნდა იყოს ერთი, მოფერებითი სახელების ოფიციალურ სახელებად გამოყენება დაუშვებელია, მაგრამ მოფერებით სახელთა მოწესრიგებაცაა საჭირო.

ყოველგვარი მოფერებითი სახელის ხმარება არ ვარგა. ამიტომ სარეკომენდაციო სიაში ოფიციალური სახელების (არა ყველას) გვერდით ფრჩხილებში მოთავსებულია სათანადოდ შერჩეული შინაური, მოფერებითი სახელებიც. მაგალითად: ანა (ანიკო, ანო, ანუკა), ეკატერინე (ეკა, კატო), მარიამი (მარო, მარიკო), სოფიო (სოფო, სოფიკო), ალექსანდრე (სანდრო), გრიგოლი (გიგა, გიგო, გიგოლი, გიგლა), გიორგი (გიო, გია, გოგი, გოგიტა), ზაქარია (ზაქრო, შაქრო), მიხეილი (მიხა, მიხო, მიხაკო) და სხვ. ფრჩხილებში ჩასმული სახელები რეკომენდებულია ოფიციალურ სახელთა შესაბამის არაოფიციალურ სახელებად. ოფიციალური დოკუმენტებში (პასპორტში, პარტილეთში, პირადობის მოწმობაში, ატესტატში, დიპლომში...), დაწესებულებებსა და სკოლებში სახმარებლად, ოფიციალური სიების შედგენისას და სხვა მსგავს შემთხვევებში მათი ხმარება დაუშვებელია.

სარეკომენდაციო სიაში არ არის შეტანილი:

ა) ზემოდასახელებულ მუხლებში შერჩევის შედეგად უარყოფლი სახელები.

ბ) უკანასკნელ ხანებში გავრცელებული, მეტწილად თურქული წარმოშობის სახელები: ომარი, ჭემალი, მუსტაფა, მირზა, მურთაზი, ენვერი, ისმაილი და მისთ.

გ) უკანასკნელ ხანებში გავრცელებული ევროპული სახელები (ალბერტი, ნაპოლეონი, ზიგფრიდი, ზიგმუნდი, რიჩარდი, ჰენრიხი...) და ამავე რიგის სახელები ლიტერატურული წარმოშობისა (მამლეტი, ოტელიო, დეზდემონა, კორდელია, აივენგო...);

დ) ახალი შერქმეული სახელები, მიღებული

1) უცხოური გვარებისაგან თუ სხვადასხვა საგანთა სახელწოდებებისაგან: უორეხი, ბისმარკი, ბარბიუსი... კომუნა, სეკრეტო, პრინციპო, ლეიტენანტი...), აგრეთვე ამ ტიპის სახელები ქართული წარმოშობისა (ელფა, კოლთაფრე...);

2) დედ-მამის სახელთა დასაწყისი მარცვლების შეერთებით (ლეომერი, გრივერი...);

3) გამოჩენილ პირთა გვარების დასაწყისი მარცვლების ან ბგერების შეერთებით ან კიდევ სხვადასხვა გამოთქმებში შემავალ სიტყვათა დასაწყისი ბგერების შეერთებით (მელხი, მარლენი, დაზმირი, მელორი...).

ე) საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ადგილობრივი სახელები: ნასყიდა, წყალობა, ყაყიტა, ბეწინა, ფუნჩია, ბერიძე (სახელია მამაკაცისა!), თილისძე (აგრეთვე!), ფრუშვი, ციხელი, წიქა, გამიხარდი, გამახარე, მეწყინა, ჭიკო, პიპინია, კოკინია, კუჭიკო და მისთ.

ვ) არ არის შეტანილი აგრეთვე სახელები, რომლებიც ქართულ გამოთქმებებს წარმოადგენენ: ვარდისახარი, შაქრისახარი, მონავარდისა, ეშხიანა და მისთ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სახელები ქართულია და ძველად საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული, ოფიციალურ სახელებად არასოდეს ქცეულან. ბევრ შემთხვევაში ასეთ სახელებში კლასობრივი თვალსაზრისიც ვლინდებოდა: ვარდისახარს, შაქრისახარს, მონავარდისას და მსგავს სახელებს მოახლე გლეხის ქალებს არქმევდნენ ფეოდალურ საქართველოში.

სახელები სიაში შეტანილია სახელობითი ბრუნვის ფორმით. სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი ყველგან დეფისითაა გამოყოფილი; სადაც ბოლოკიდური ი დეფისით არაა გამოყოფილი, იქ ი სახელის ფუძეს ეკუთვნის და ყველა ბრუნვაში გადაჰყვება. მაინც, ისეთ სახელებს, რომლებიც ა, ე, ო, უ ხმოვნებზე არ ბოლოვდება, ყველგან მიწერილი აქვს მიმართვის ფორმაც. როცა ბოლოკიდური ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია, იგი მიმართვის ფორმაში აღარ გვექნება, ხოლო, როცა ი ფუძეს განეკუთვნება, იგი მიმართვის ფორმაშიც გვაქვს.

მაგალითად, როცა წერია: გურამი-ი; მიმართვისას: გურამი! — ეს ნიშნავს, რომ ი ამ შემთხვევაში სახელობითი ბრუნვის ნიშანია და სხვა ბრუნვებში და მიმართვისას აღარაა საქირო, მიმართვისას გვექნება გურამი და არა: გურამი! ხოლო, როცა წერია: გიორგი; მიმართვისას: გიორგი! — ეს ნიშნავს, რომ ი ამ შემთხვევაში ფუძეს ეკუთვნის, გადაჰყვება სხვა ბრუნვაშიც და მიმართვისას გვექნება გიორგი!

სია ამომწურავად სრული, რა თქმა უნდა, არ არის, ივლისსხმება მისი თანდათანობით შეესება ისეთი სახელებით, რომლებიც გამოვლინდება შემდგომი მუშაობის პროცესში და დააკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, ამ სიის შედგენას რომ დაეღო საფუძვლად.